

ასრათ ომარაშვილი

საინგილოს ონომასტიკა

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი, 2017

წიგნში საველე ექსპედიციებში და საარქივო დოკუმენტებში გამოვლენილი მასალის საფუძველზე მოცემულია საქართველოს ერთ-ერთი უძველესი მხარის ჰერეთ-საინგილოს ტოპონიმია. ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა საინგილოს გვარსახელებს და მათ წარმომავლობას, საინგილოს ფიზიკურ და გეოგრაფიულ აღწერილობას, ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისტორიის უძველესი დროიდან დღემდე.

რედაქტორი – აკად. **გუჩა კვარაცხელია**

რეცენზენტები: აკად. **დავით მუსხელიშვილი**

პროფ. **თედო უთურგაიძე**

პროფ. **მურმან თავდიშვილი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ნათია დვალიშვილი**

წიგნი გამოცემისათვის დიდ მადლობას მოვასხსენებთ რექტორს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს **მანანა სანაძეს**.

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა © 2017

ISBN 978-99940-50-37-6

რედაქტორისაგან

ასრათ ომარაშვილის მონოგრაფია „საინგილოს ონომასტიკა“ მრავალმხრივი და საინგერესო ონომასტოლოგიური გამოკვლევაა. მასში, უპირველეს ყოვლისა, ფასდაუდებელია მასალა: წლების მანძილზე ავგორის მიერ ადგილზე ჩაწერილი და მოძიებული საარქივო ისტორიული წყაროებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საინგილოს გოპონიმიასა და ანთროპოლოგიას. ყოველივე ეს უფრო გააღრმავებს ცოდნას საქართველოს ერთ-ერთი უძველესი კუთხის – ჰერეთის შესახებ; ნაშრომი მკაფიო წარმოადგენს იძლევა ინგილოთა წარსულისა, იქაური მეცყველებისა და თანამედროვე მდგომარეობის შესახებ; აქვეა განხილული მრავალი მეცვევარის მიერ სხვადასხვა დროს შეკრებილი სანდო ცნობები საინგილოზე. ნაშრომში ენათმეცნიერული თვალსაზრისით გაანალიზებულია ამ კუთხის მეგად ძვირფასი ისტორიული ონომასტიკა, ნაჩვენებია მისი ენობრივად საინგერესო ფონეტიკურ-ლექსიკური გარდაქმნები მრავალენოვნების პირობებში. გამოვლენილია საინგილოში დღემდე შემონახული ქართული გოპონიმიური და ანთროპოლოგიური ერთეულები, რომლებიც მრავალი ისტორიული ქარგეხილების გამოვლის შემდეგ დღემდე ინარჩუნებენ ქართულ წარმომავლობას.

ა. ომარაშვილის მონოგრაფიაში სხვა საინგერესო პრობლემათა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მონაკვეთს, რომელშიც აღდგენილია საინგილოში შემონახული ქართული გვარები, რომლებიც დღეს ამერბაიჯანული ფორმით გვხვდებიან. ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გამოვლენილია დღეისათვის დაკარგული და მივიწყებული არაერთი ქართული გვარი, გოპონიმი თუ ანთროპონიმი რაც მეგად მნიშვნელოვანი ეროვნული საქმეა საინგილოს გლობალური კვლევისათვის ისტორიულ და თანამედროვე ასპექტში.

ა. ომარაშვილის ნაშრომში მოსახლეობის აღწერაზე დაყრდნობით, მოცემულია ქართველი მოსახლეობის შიდა დინამიკა ისტორიულ ჰერეთში. ნაშრომში წარმოდგენილ ცხრილებზე თვალის ერთი გადავლევაც საკმარისია, ნათლად დავინახოთ საინგილოში მიმდინარე ქართველი ეთნოსის შემცირებისა და გადაგვარების მეგად შემადრწუნებელი ფაქტები. 1959 წლის აღწერით ამერბაიჯანში აღრიცხულია ცხრაათას ხუთასი ქართველი, 1979 წლის აღწერით კი-არც ერთი. უხვად მოიძიებულმა მასალებმა ასრათ ომარაშვილს მისცა საშუალება შეექმნა მეგად მნიშვნელოვანი გამოკვლევა საინგილოს შესახებ.

ნაშრომის უდავო ღირსებად ისიც უნდა მივიჩნიოთ, რომ მოპოვებული ძვირფასი მასალა და ავგორის მიერ დაყენებული მრავალი საკითხი საშუალებას იძლევა მომავალი კვლევა-ძიებისათვის ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ლინგვისტური თვალსაზრისით.

საინგილოს ყოველთვის ჰქონდა და აქვს სათანადო ადგილი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, ეს განსაკუთრებით ითქმის ქართულ ენათმეცნიერებაზე, რადგან ის ერთ-ერთი გამორჩეული მრავალფეროვანი დიალექტია ქართული ენისა თავისი საყურადღებო ენობრივი ფორმებით, გოპონიმიითა და ანთროპონიმიით, რომელიც სწორედ საინგილოს გერიტორიაზეა შემონახული.

ა. ომარაშვილის ნაშრომი დაწერილია ფაქტობრივი მასალის ღრმა ცოდნით, გაანალიზებულია გოპონიმიისა და ანთროპონიმიის არაერთი საკითხი, რომელთაც დღემდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა. საინგილოს ონომასტიკური პრობლემები გაშუქებულია სათანადო ენათმეცნიერულ ღონეზე.

მონოგრაფია დიდი ინგერესით იკითხება და იგრძნობა ავგორის, თვით ინგილო მეცნიერის, უაღრესად დიდი სიყვარული და პასუხისმგებლობა მშობლიური საინგილოსა და ქართული მეცნიერების წინაშე. ვფიქრობთ, დიდი ხელშეწყობა ჰმართებს ჩვენი ერისაგან თითოეულ ავგორს, რომელიც იკვლევს საინგილოს ისტორიულ წარსულსა და ამ კუთხის მეცყველების ენობრივ თავისებურებებს.

ა. ომარაშვილის ნაშრომი – „საინგილოს ონომასტიკა“ მნიშვნელოვანი შენაძენია ქართულ მეცნიერებისათვის. იგი დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს სტუდენტობას და მკითხველთა ფართო წრეს. დაინტერესებს ისტორიკოსებს, ფილოლოგებს, ასევე მონათესავე დისციპლის წარმომადგენლებსაც და საერთოდ ყველას, ვინც საქართველოს ამ ძირძველი კუთხით იქნება დაინტერესებული. ნაშრომი დაწერილია კარგი ქართულით და იოლად მისაწვდომია როგორც მეცნიერ-მკვლევარისათვის, ასევე მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის.

შინაარსი

შესავალი	
საინგილოს ონომასტიკის შესწავლის ისტორიიდან	5
თავი I	
საინგილოს ონომასტიკის ენობრივი ანალიზი	
ა) ინგილოური გოპონიმია	30
ბ) გოპონიმების სტრუქტურა და მათი წარმოება	31
გ) უაფიქსო, მარტივფუძიანი სახელები	31
დ) სუფიქსით ნაწარმოები სახელები	32
ე) კნინობითი სუფიქსით ნაწარმოები სახელები	35
ვ) მიმღობითი გოპონიმები	35
ზ) სიგყვათშეერთებით ნაწარმოები სახელები (კომპოზიტები)	36
თ) ფუძეგაოკცებული გოპონიმები	36
ი) ფუძეგანსხვავებული გოპონიმები	36
კ) სამფუძიანი გოპონიმები	40
ლ) ჰიდრონიმები	41
მ) ნარევი გოპონიმები	41
ნ) გაურკვეველი შინაარსის გოპონიმები	44
ო) ამერბაიჯანული და სხვა ენობრივი წარმომავლობის გოპონიმები	44
პ) ძირითადი ფონეტიკური მოვლენები ინგილოურ გოპონიმებში	49
ჟ) საინგილოს ეტიმოლოგიისათვის	51
თავი II	
საინგილოს ჰიდრონიმთა ლოკალიზაციისათვის	55
ოიკონიმ „მაქათალას“ შესახებ	61
საინგილოს გოპონიმები ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და აგლასების მიხედვით	62
საინგილოს გოპონიმები ქართულ და ამერბაიჯანულ ენციკლოპედიების მიხედვით	69
საინგილოს ონომასტიკა ი. გიულდენშტედტის ნაშრომის მიხედვით	77
საინგილოს გოპონიმები XIX ს. გეოგრაფიული აგლასებისა და რუკების მიხედვით	79
გოპონიმ „კახის“ შესახებ	82
თავი III	
საინგილოს გვარსახელები	88
საინგილოს გერიგორიაზე დღეისათვის არსებული ქართული გვარები	126
მაჰმადიანი სარწმუნოების მქონე ქართველების გვარები	137
მივიწყებული და დაკარგული გვარები	147
თავი IV	
გეოგრაფიული სახელები	152
გვარები	289
ადამიანთა სახელები	
ა) ქალის სახელები	295
ბ) მამაკაცის სახელები	301
ინფორმატორები	310
შემოკლებანი	313

ვუძღვნი ჩემი მშობლების ნათელ ხსოვნას

შესავალი
საინგილოს ონომასტიკის შესწავლის ისტორიიდან

ისგორიულმა ჰერეთმა, ანუ დღევანდელმა საინგილომ, ადრიდანვე მიიქცია მეცნიერთა ყურადღება. საქართველოს ამ განაპირა კუთხისადმი ინგერესი XIX საუკუნეში იმანაც განაპირობა, რომ თვით დედასაქართველოში მომხდარი პროგრესული ცვლილებები იმდენად მასშტაბური იყო, რომ იგი არა მარტო ცენგრს, არამედ მის პერიფერიებსაც შეეხო. დაიწყო საქართველოს ერთიანობის აღდგენისა და შეკრებისათვის მოწინავე ინგელიგაციის ძალთა გაერთიანება. საინგერესოა თუნდაც ამ მხრივ რა ვითარება სუფევდა საინგილოში. მას, იმდროინდელი ცენგრისაგან მოწყვეტილსა და მივიწყებულს, არაფერი ჰქონდა სახარბიელო როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ისე კულტურული ცხოვრების სფეროში. სხვა ეროვნების გომთა გარემოცვაში მოქცეული საქართველოს ეს ნაწილი ცდილობდა, როგორმე თავი ეხსნა ფიზიკური განადგურებისაგან. არაერთი მწარე დღე გამოუვლია ისგორიის ბელუკულმართობის გამო მშობლიურ მიწაზე დაჩაგრულ ინგილო გლეხკაცს, მაგრამ იგი არასდროს დაცემულა სულიერად და ერის ერთგულების ნიშნად ბოლომდე შემოუნახავს გრადიცინასთან ერთად ენა და სარწმუნოება. რა ვუყოთ, რომ დღეს ისე აღარ ბრწყინავს ძველი ჰერეთი. ვერც ფოლკლორითა და ვერც ეთნოგრაფიული მრავალფეროვნებით ვაკვირვებთ ვინმეს. ხანდახან საკუთარი მეობის აღიარებაც გვიძიძის და გვაშინებს, ვაითუ მსმენელის ყურს ცუდად ჩაესმას ჩვენი ნათქვამით. რანი ვართ, ამის დასამტკიცებლად დიდი დრო და ძალისხმევა გვჭირდება. ყოველთვის მხსნელის მოლოდინში მყოფებმა საცაა თითქმის საკუთარი მეც დავეკარგოთ. დღისით, მზისით, თვალსა და ხელს შუა მოყვასი მოყვასის დაუნდობელი მგერი ხდება. მგერმოყვარეობამ იმდენად დაგვრია ხელი, რომ მოკეთის პოვნა მალე სანთლით საძებარი გაგვიხდება. თავიდანვე რომ გავგჩენოდა იმის რწმენა რომ საკუთარი თავისთვის თავადვე გვეშველა, დღეს ასე მძაფრად აღარ დაისმებოდა ჩვენი ზოგიერთი კუთხის ყოფნა-არყოფნის საკითხი.

საინგილოს თითქოსდა არასოდეს მოჰკლებია მმრუნველი. ისინი იყვნენ, არიან და იქნებიან, მაგრამ გარედან როგორც არ უნდა გვმფარელოდნენ, მაინც ვერას გავხდებით, თუ ჩვენ თვითონვე არ გავიცნობიერეთ, ვინა ვართ, რისთვის ვარსებობთ და რა მიზანი გვაქვს დასახული. საინგილოს მხოლოდ და მხოლოდ ცოდნით შეიარაღებული მძლავრი ინგელიგენცია სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერაფერს გავხვდებით. გაორგულებული კაცი ქამელეონს ჰგავს, რომელსაც საკუთარი აღარაფერი გააჩნია და მასზე დაყრდნობა ხალხს სახარბიელო შედეგს არ მოუტანს. ცხოვრების დინების ჩარხი არც არასოდეს გაჩერებულა და არც ახლა გაჩერდება, მხოლოდ ერთნი წავლენ და სხვანი მოვლენ. მოვლენ ამქვეყნად, მაგრამ ისინი ყოველთვის დასვამენ მეგად მტკივნეულ კითხვას – ვინა ვართ ჩვენ – ინგილოები?! რაოდენ მწარე იქნება მასზე პასუხის გაუცემლობა ანდა ცრუმონაცემთა ხელახალი ინგერპრეტაცია.

საინგილოს მიწამ, მისმა განუმეორებელმა თვალწარმტაცმა ბუნებამ, ალამნის ლანდშაფტებმა, აქა-იქ აისბერგებივით შემორჩენილმა ციხე-მონასტრების ნანგრევებმა არაერთ მოგზაურსა თუ მკვლევარს ხელში კალამი ააღებინა. საინგილოს სხვა სანახებთან ერთად გარკვეულ ინგერესს იწვევდა აქაური გეგრაფიული სახელწოდებანიც.

ჯერ კიდევ ადრე ისგორიულმა ალბანეთმა, ანუ ჰერეთმა, შესაბამისი ასახვა პოვა ბერძნულ-ბიზანტიურ წერილობით წყაროებში. ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა **სგრაბონი** (ძვ.წ. 64/63), რომლის მიხედვითაც ალბანელები: „ცხოვრობენ იბერებსა და კასპის ზღვას შორის; აღმოსავლეთით ისამღვრებიან ზღვით, ხოლო დასავლეთით ემეზობლებიან იბერებს. რაც შეეხება დარჩენილ მხარეებს - ჩრდილოეთისა გამაგრებულია კავკასიონის მთებით... სამხრეთისაკენ არის მემობლად მდებარე არმენია, რომელიც ნაწილობრივ დაბლობია, ნაწილობრივ მთიანი, როგორც მაგალითად, კომბისენე, სადაც იბერებსა და ალბანელებს ესამღვრებიან არმენიელები“ (220, 131).

სგრაბონის მიხედვით, ალბანეთი მოიცავდა 26 ენაზე მოლაპარაკე გომთა გაერთიანებას, სადაც ქართველ გომებს გამორჩეული ადგილი ეკავათ, ხოლო რომელი ენა იყო აქ წამყვანი, ამის შესახებ ავგორი არაფერს ამბობს. სხვადასხვა წარმომავლობის გომები ერთმანეთში არ ითქვიფებოდნენ. ასევე საყურადღებოა ის ჩანაწერი სგრაბონისა, რომელიც იბერიიდან ალბანეთში გადასასვლელს ეხება: „შესასვლელი იბერიიდან ალბანიაში არის უწყლო და თლრო-ჩოლრო კომბიშენზე, რომელიც მდ, ალაზან-იორთან არის“ (220, 134).

ალბანეთის შესახებ საყურადღებო ცნობებს იძლევიან აგრეთვე ისეთი ბერძენი და რომაელი ავგორები, როგორებიც არიან: **პლინიუსი** (29-79 წწ.), **პტოლემეაიოსი** (70-147 წწ.), **ფლავიუს არიანე** (100-160 წწ.), **აპიანე** (90-170წწ.), **დიონ კასიო** (155-235წწ.), **თემისტიოსი** (317-388 წწ.) და სხვ.

სომხური წერილობითი წყაროებიც მრავლად შეიცავენ ცნობებს ალბანეთის შესახებ, მხედველობაში გვაქვს **მოსე კადანკაგუაყის** ისგორიული თხზულება – „ალბანეთის ისგორია“ და XII-XIII საუკუნის სომეხი მწერლის **მხითარ-გომის** „ალბანეთის ქრონიკა“.

ალბანეთის შესახებ აღმოსავლური წყაროებიდან აღსანიშნავია: იბნ ხორდადბეხისა (IX-X სს.) და ისქანდერ მუნშის ცნობილი თხზულება: „ქვეყნის დამამშვენებელი აბასის ისგორია“.

გერმინი „ჰერეთი“ ბერძნულ და ლათინურ წყაროებში გვხვდება „ალბანეთის“ სახელწოდებით, სომხურში „**ალვანად**“ იწოდება. გემოაღნიშნულ გოპონიმიკურ სახელწოდებათა თავდაპირველი ფორმები და მათი ურთიერთკავშირი მეცნიერებისათვის დღემდე უცნობია.

პირველი ნაშრომი, რომელშიც წარმოდგენილია კაკ-ელისენის, ანუ საინგილოს, გოპონიმი – ესაა **ვახუშტი ბატონიშვილის** „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (68). აქ ერთიანი საქართველოს კონტექსტში წარმოჩენილია იმდროინდელი საინგილოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა არსენალი. ვახუშტისეული აღწერა ეყრდნობოდა როგორც ისგორიულ წერილობით წყაროებს, ასევე საველე მუშაობის შედეგებს. ეს გახლავთ ერთ-ერთი ღირშესანიშნავი ისგორიული წყარო საქართველოს გოპონიმიისა. ავგორი აღწერის ძირითად ნაწილში გამოყოფს და ლოკალიზებას ახდენს ამ მხარეში გავრცელებული ისეთ გოპონიმებსა, როგორებიცაა: **გიშის-წყალი (მდ), გიში (საეპისკ), წუქეთი//ალის სასულთნო (საერ.), ქურმუხის-წყალი (მდ), ქურმუხი (ციხესიმა), წყალი-ფიფინეთის (მდ), ფიფინეთი/ჭარი (ს.), მოსაბრუნი (ს.), ბოეთანი (ს.), ბელაქნის-წყალი (მდ), ელისენი (მხარე), ციხე-მაკაბელი (ციხე), ნოხჰგო(ციხე-ქალ).**

შედარებით ვრცლადაა წარმოდგენილი კაკ-ელისენის გეოგრაფიული სახელწოდებები იქ, სადაც საუბარია „სომხითის სოფლების ქრისტიანეთა და თათრის თბაზე“. აქ ელისენში შემავალ გოპონიმებად დასახელებულია აგრეთვე: **ბელაქანი (ს.), მაკაბელი (ს.), ბოეთანი (ს.), დანუხი (ს.), კაგეხი (ს.), მაწეხი (ს.),**

ვარდიანი (ს.), ფიფინეთი ანუ ჭარი (ს.), თალა (ს.), ჩარდახი (ს.), მუხრახი (ს.), კოსორი (ს.), ჯინიხი (ს.), ბაზარი (ს.), ფადარი ობა (ს.), მოსაბრუნი (ს.).

კაკ-ელისენის ონომასტიკამაც შესაბამისი ასახვა პოვა დიდი გეოგრაფის მიერ 1835-1845 წლებში შედგენილ უნიკალურ გეოგრაფიულ აგლასებზე, რომელთა ერთმანეთთან შედარებაც გარკვეულ სხვაობას იძლევა გეოგრაფიულ სახელწოდებათა ასახვის მხრივ. მეორე აგლასზე ხანდახან აღარა ჩანს ის, რაც მითითებულია პირველზე. ასე, მაგალითად: თოლა (ცხესიმ), შამბული (ს.), მოსაბრუნი (ს.), გუნგეთი (ს.), ფადარი (ს.), ისულის წყალი (მდ.), ბოეთანი (ს.) წარმოდგენილია ბეთანად, ხოლო ფიფინეთი (დიდი დაბა) – ფიფანად.

ძალზე საინტერესო სურათს იძლევა დღევანდელი საინგილოს გოპონიშთა შედარება ვახუშტისეულ აღწერასთან. ჩვენდა სასიხარულოდ, დღემდე მოუღწევია გეოგრაფიულ სახელწოდებათა ძირითად ნაწილს, მაგრამ ჟამთა სიავის გამო სახე უცვლიათ ან საერთოდ გამქრალან გოპონიშები: თოლა, მაკაბელი, ბოეთანი/ბეთანი, შამბული/შაბული, დანუხი, მოსაბრუნი, ელისენი, ჯოხორი, ბაზარი, ისულის-წყალი, ჰერეთი, ხორანთა. ვერავითარი კვალი ვერ დაგოვებს ისეთმა ქართულმა გეოგრაფიულმა სახელებმა, როგორცაა: ბოეთანი, მოსაბრუნი, ჰერეთი, გუნგეთი, ხორანთა...

სხვაენოვანმა გარემოცვამ სახე უცვალა მრავალ ქართულ სახელს. ასე, მაგალითად: მაჭის-წყალი იქცა მაზიმჩაიდ, ბელაქის-წყალი – ბელაქანჩაიდ, ფიფინეთი – ფიფანად, კაკი//კახი – გახად, ელისენი – ალიაბადად, ვარდიანი –

გულუგად და ა.შ.

ვახუშტის მიერ აგლასებსა და აღწერაში წარმოდგენილი კაკ-ელისენის გოპონიშები ამ კუთხის ისტორიის მნიშვნელოვან საგანძურს შეადგენენ. სწორედ, მათი გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება მივიწყებული სახელების აღდგენა და ისტორიული ფაქტების ფალსიფიცირებისაგან დაცვა.

საინგილოს გოპონიშის გარკვეული ნაწილი შეგანილია იოვანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერაში“ (17). იგი ისტორიული ჰერეთის მიმოხილვისას ყურადღებას ამახვილებს ენისელის, ანუ ელისენის, მხარეში შემავალ სამეფო, სათავადო, სააზნაურო და საეკლესიო დანიშნულების გეოგრაფიულ ერთეულებზე. ესენია: ბელაქანი, მაკაბელი, კაგეხი, ბოეთანი, დანუხი, მაწეხი, ვარდიანი, ფიფინეთი, ანუ ჭარი, მაქათალა, პაგარა ჭარი, წინუბანი, თალა, ჩარდახი, მუხრახი, კოსორი, ჯინახი, ბაზარი, მოსაბრუნი, ფადარი. დასასრულს აღნიშნავს, რომ „იქნა ჯამი ამ სოფლებისაო“.

ავტორი ცალკე გამოყოფს სამეფო-სანადირო, სათიბ-საძოვარს – ბელაქნის მთას. მღვდელმთავართა ჩამოთვლისას დასახელებულია ენისელისა და ბელაქან-ჭარის მოძღვარი ბედელი.

ქართლ-კახეთის ბაგრატიონისეულ აღწერაში ელისენში წარმოდგენილი ზოგიერთი გოპონიში სახეცვლილადაა მინიშნებული. ასე, მაგალითად: ენისელის ნაცვლად უნდა იყოს ელისენი, ბოეთანისა – ბოეთანი, მუხრანისა – მუხახი. ჩამოთვლილ სოფელთა შორის ასახელებს მაქათალას, წინუბანს. ასევე ჭარი-საგან, ანუ ფიფინეთისაგან გამოყოფს პაგარა ჭარს.

საინგილოს სიძველისადმი ინტერესი შეინიშნება ისტორიკოს დ. ბაქრაძის ნაწერებში. როგორც ცნობილია, იგი ერთხანს (1879-1883 წწ.) თავმჯდომარეობდა ამ კუთხეში მომუშავე „სამიწათმოქმედო-საადგილმამულო კომისიას“, რომელიც შესაძლებლობას აძლევდა ახლოს გასცნობოდა ადგილობრივ მოსახლეობას, მათ დიალექტს. სწორედ ამან განაპირობა ისეთი მნიშვნელოვანი გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ნაშრომების დაწერა, როგორებიცაა:

„ინგილოები“ („დროება“, 1866 წ.), „Заметки о Закавказской округе“, რომელიც 1890 წელს გამოქვეყნდა.

საქართველოს ამ უძველესი კუთხისადმი დიდი სიყვარულითა და პატივისცემითაა განმსჭვალული **ზ. გულისაშვილის** 1882 წელს გამოქვეყნებული წერილი „**მგზავრის შენიშვნები საინგილოსა და ქიზიყმედ**“. მოსე ჯანაშვილი ამ წერილს მაღალ შეფასებას აძლევდა და საინგილოზე დაწერილ ნაშრომთა შორის ერთ-ერთ ღირებულ ნარკვევად მიიჩნევდა.

ზ. გულისაშვილი თავის ნაშრომში მიმოიხილა ავღანეთის საინგილოს ძველ სოფლებს, ნასოფლარებს, აღწერდა სახლ-კარმიდამოს, ბაღ-ვენახებს და სხვ.

XIX საუკუნის პეგერბურგელ ქართველოლოგთა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი ეკავა პროფ. **ალ. ხახანაშვილს**. მან უანგარო, თავდადებული მეცნიერული ღვაწლით გაამდიდრა ფილოლოგიური მეცნიერება, წარუშლელი კვალი დატოვა ამ დარგში. სამშობლოსაგან მოწყვეტილი, მუდაყამს მის ბედზე მეოცნებე მეცნიერი პრაქტიკულადაც ცდილობდა არაერთი ჩანაფიქრის განხორციელებას. რად ღირს თუნდაც მისი სამგზისი მოგზაურობის გახსენება საინგილოში ადგილობრივი ქრისტიანული ძეგლების შესასწავლად. მან შეგროვილ მასალებზე დაყრდნობით პირველმა შემოიგანა მეცნიერებაში მეტად ძვირფასი ცნობები ამ კუთხის ისტორიულ-ხუროთმოძღვრული ძეგლების შესახებ.

გამოჩენილი ფილოლოგიის თვალს არც იქაური სოფლების სახელწოდებათა აღნუსხვა და სათანადო კომენტირება გამორჩენია. საინგილოში არსებული იმდროინდელი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების მიუხედავად, მეცნიერს ალღო არ ღალატობს, მრავალ რამეს ჩასწვდეს და მიუხედავად იმისა, რომ საინგილოს სოფლებში ლეკები და თათრები სახლობენ, მართებულად აღნიშნოს: „**ეს ადგილები ოდესღაც ქართველებს ეკუთვნოდათ**“, რის დასტურადაც ასახელებს სოფელთა სახელებს: **ვერხვიანი** (ვერხიანი), რაც აღნიშნავს სავერხვეს, **მოსული** (მოსულები), **მუხახი** (მუხრიანი), **კორგანი** (მეჯა), **ცინბანი** (წინა აივანი), **კაგეხი**, **მაწეხი** და ა.შ.

მეცნიერი არც აქაურ ჰიდრონიმებს და მთებს გოგებს უყურადღებოდ. ასე, მაგალითად: **ცალკოგი** (საუცხოო ბაღი), **კაფის-ჩაი**, რაც ქართულად ნიშნავს **კარისწყალს** ე.ი. **კარის მდინარე**. **შავი მთა**, **ჩინარ**, **ცილბან** და სხვ.

ცალკეულ ტოპონიმთა ანალიზისას ალ. ხახანაშვილი გერიტორიულადაც შორს, თითქმის დაღესტნამდე, მიდის. მისი აზრით, **სამურის ოლქის** სახელწოდებაც ქართულია, რომელიც მომდინარეობს სიტყვა **სამურიდან**. ასევე **ორღელე-ორიღელე**, **მაწისმისწყალი** (წვიმის წყალი). **ნუხის** მაზრაში ასახელებს ქართულ ტოპონიმებს: **ორბანი** (ორი სახურავი) **ქოხმახი** (ქოხი) და სხვ.

ალ. ხახანაშვილის ცნობილ ნაშრომში „**მასალები კავკასიის არქეოლოგიიდან**“ სათანადო ასახვა პოვა საინგილოს ხუროთმოძღვრულმა ძეგლებმა: **ბახთაღის**, ანუ **ფაღდარლოს ეკლესია**, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი „**ფერიყალას**“ ეძახიან. იგი არჩილ მეფეს (664-719 წწ.) უნდა აეშენებინა; **კასრის-საყდარი**, რომელთანაც ახლოს არის დიდი მოცულობის ქვევრი. აქვე მოჰყავს ამ ქვევრთან დაკავშირებული ლეგენდა „ათასი კაცის შესანდობარი“. უყურადღებოდ არც დანგრეულ **სამების ეკლესიას** გოგებს. კავკასიის ქედის ფერდობზე მდებარე **ქურმუხის წმ. გიორგიმ** და მასზე გაგონილმა „ოქროს მამლის“ ლეგენდამ გარკვეული მეგავლენა იქონია ცნობისმოყვარე მეცნიერზე – „ინგილოებს დღესაც სწამთ ოქროს მამლის ლეგენდა“, – შენიშნავდა ალ. ხახანაშვილი.

ოიკონიმი – **ლაქითი//ლექითი//ლექეთი//ლექართი** ვახუშტის არ აქვს ნახსენები. ალ. ხახანაშვილის აზრით, ბაგონიშვილის მიერ მოხსენიებული **წუქეთის ეკლესია**, რომელსაც ცენტრალური ადგილი ეკავა ბელაქანსა და ნუხს შორის,

ლექეთის ეკლესია უნდა იყოს. ამას მოსდევს მსჯელობა **ყუმისა** და **ფიფინეთის ეკლესიებზე**.

ინგილოურმა ანთროპონიმამაც მიიქცია მეცნიერის ყურადღება, აქ გაგონილი შერეული სახის გვარსახელებით დაინგერესებული მეცნიერი კვლევადიების გზას თამამად გაჰყვა, რამაც იგი შემდეგ დასკვნამდე მიიყვანა: „მაწესა და კატეხში შეიძლება შევხვდეთ გვარებს: **ჭავჭავაძე, ვაჩნაძე, მურაბაშვილი, თავაღიშვილი**. ბელაქნელი **გალაჯოები** თავს ქართველებად თვლიან და თავს ვაჩნაძეების შთამომავლად ასაღებენ“ (ალ. ხახანაშვილი, დასახელებული ნაშრომი 267, 32.). მათთან სახლში ინახებოდა მეფე თეიმურაზის მიერ გაცემული ამ ოჯახისათვის თავადობის დამადასტურებელი სიგელი.

ალ. ხახანაშვილი არც ისეთ მნიშვნელოვან საკითხს იფიქვებს, როგორცაა გერმინ „**ინგილოს**“ წარმომავლობა. მისი აზრით, **ინგილო** უნდა ნიშნავდეს „ახლადმოქცეულს“, „რჯულგამოცვლილს“.

პროფ. ალ. ხახანაშვილი პირველი თვალსაჩინო მეცნიერია, რომელმაც საფუძველი დაუდო საინგილოს მაგერიალურ-კულტურული ძეგლების შესწავლას.

მიუხედავად იმისა, რომ საინგილოს არ მოჰკლებია ამ თუ იმ მოგზაურისა თუ მეცნიერის ყურადღება, მაინც სულ სხვა სითბო და სიყვარული იგრძნობა საინგილოსადმი **დიმიტრი** და **მოსე ჯანაშვილების** ნაწერებში. მშობლიურ წიაღში აღმოცენებულმა ცოდნის კვირგებმა დედასაქართველოში გაშალეს ფრთები.მათი სიგყვის უკან მძლავრად ჩქეფს მდ. ქურმუხის მძლავრი ცალღები. თუკი რამ უცყუარი და ფასეული გინდათ შეიგყოთ ჰერეთის ისტორიისა და ყოფისა, ჯანაშვილების შემოქმედებას უნდა მიმართოთ. მათი ნაწერებიდან შემოგვექერიან საუკუნეთა მიღმა მრავალ ჭირ-ვარამ გამოვლილ წინაპართა გაუღიზარი სახეები.

დიმიტრი მოსეზე ადრე ჩამოვიდა თბილისში. მცირე დროის მანძილზე ახლოს გაეცნო ქართველი ინგელიგენციის საქმიანობას. მოსკოვის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული მთელი ენერგიით შეეჭიდა საღვთო და საერო საქმიანობას. აქტიურად თანამშრომლობდა იმდროინდელ ქურნალ-გაზეთებში. მშვენიერ ქართულთან ერთად რუსულსაც კარგად ფლობდა და ხშირად თანამშრომლობდა პრესაში. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, დიმიტრი თერგდალეულთა თაობას დაუმეგობრდა. ამ მხრივ საკმარისია მისი მოღვაწეობის გახსენება **ილია ჭავჭავაძის** მიერ დაარსებულ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, სადაც იგი ერთხანს გამგეობის წევრიც ვახლდათ.

დიმიტრი საინგილოს ქართველობას ფარივით ედგა. მთელი თავისი ნიჭი და ენერგია ამ დაუღალავმა მამულიშვილმა ქართველი ერის კეთილდღეობას შეაღია.

დ. ჯანაშვილის ნაშრომებიდან აღსანიშნავია: „**ქართველი ქალის ისტორია**“, „**ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა ჰერეთისა**“. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს უკანასკნელი, რომელიც ქურნალ „მოგზაურში“ იბეჭდებოდა 1901 წლის №4-დან 1909 წლის №4-მდე. მასში ასახულია საინგილოს ისტორიული წარსული, აღწერილია გეოგრაფიული და კლიმატური პირობები. აღნიშნული ნაშრომი იმითაცაა ფასეული, რომ მასში დეტალურადაა გაანალიზებული ინგილოური გეოგრაფიული სახელები. ყურადღება გამახვილებულია ინგილოურ ოიკონიმებზე, რომელთა ერთი ნაწილი კიდევაც შემორჩენილი ამ ქართულ მიწაზე: **ბაგან** (ს.), **ფიფინეთი** (ს.), **ბელაქანი** (ს.), **მაჭი** (ს.), **წინუბანი/წილბანი** (ს.), **მუხახი** (ს.), **კაკი** (ს.), **თოლა** (ს.), **მამრეხი** (ს.), **გულგულა** (ს.), **ბოეთანი** (ს.), **გერნა** (ს.), **ლექართი/ლექეთი** (ს.), **ყუმი** (ს.), **სოსკანი** (ს.), **მოსული** (ს.), **ალიბეგლო** (ს.),

ქოთოქლო (ს.), ყორაღანი (ს.), ქუნგეთი (ს.), ჭალეთი//ჯალეთი (ს.), ვართაშენი (ს.) და სხვ.

ოიკონიმების პარალელურად დ. ჯანაშვილს არც აქაური ნასოფლარ-ნასახლარები აქვს დაეიწყებული: მაჭი (ნას.), ჰერეთი (ნაქ.), ჭიაური (ნას.), ნამარევი (ნას.), ვარღანი (ნას.), ესკი-ბაზარი (ნაქ.), ბაზარი (ნას.), წუქეთი (ნას.), ფადარი (ნას.), დიდი და მცირე აზნაურები (ნას.), ხალხალი (ნაქ.).

კავკასიონის ქელიდან გამომდინარე მდინარეთა ქსელი საინგილოს ტერიტორიის გავლით ზღაზვნით მიიკლავება მდ. ალაზნისკენ. აქაური ჰიდრონიმია ყოველთვის აინგერესებს მკვლევარს. ჯანაშვილი ამ მხრივ მხოლოდ მაკროჰიდრონიმიამე ამახვილებს ყურადღებას: მაჭისწყა-ლი//მაზიმჩაი (მდ.), მაწების მდინარე (მდ.), თალაჩაი (მდ.), ყაფი-ჩაი (მდ.), ყუმის მდინარე (მდ.), კობალას წყალი (მდ.), ყანი-ყობი (დელე), აგრი-ჩაი (მდ.), გიშის მდინარე (მდ.), ელჯირგან-ჩაი (მდ.).

დიმიტრის, როგორც ისტორიკოსისა და რელიგიის მსახურის, ძირითად ინტერესს შეადგენდა საინგილოს საკულტო ძეგლების, ეკლესიების, სასახლეებისა და ციხესიმაგრეების, ნასაყდრალეების და ადგილსამყოფელთა აღნუსხვა, ასე უხვად რომ არის მიმოფანტული ამ მხარეში: მაჭის ეკლესია, ნამუქსუ ქილისა („პატარა წყლის ეკლესია“), დარბაზის ეკლესია, შიმშაგ ქილისა („ჭანდრის საყდარი“), ყირმიში ქილისა („წითელი ეკლესია“), გიშის ეკლესია (ნასაყდ.), მაკაგ-ქილისა („კვერნაის ეკლესია“)- ნასაყდ., ნურ-ქილისა („მადლის ეკლესია“), კატეხის ეკლესია, ფიფინეთის ეკლესიები, ეკლესიები ფერიჯან-მუხახ-მამრეხისა, ფერი-ყალა, ჯვრის ეკლესია (ნასაყდ.), ზერნას ეკლესიები, ლექართის ეკლესია, ყუმის ეკლესიები, კასრის სამება, ბარბარეს ეკლესია (ნასაყდ.), ქურ-მუხის ეკლესია, გულთეფას ეკლესია („ყვავილთა კორდი“) – ნასაყდ., ღოდის მონასტერი, გიშის ეკლესია, ყიმ-ყალა, შაქის ციხე.

ნაშრომში წარმოდგენილი ზოგიერთი გეოგრაფიული სახელი დღეისათვის სახეშეცვლილი ან მივიწყებულია: აზნაურის მთები (მთა), ალდიბ (მთა), შაკიხის ველი (ველი), მისილ-დად („ოქროს მთა“), საყარაულოს მთა//ყარაულ თაფა, ჯურ-კაწ (მთა), ნამარაშ ყაია, მილარის ველი, შაჰ-აბაზის კორთე და სხვ.

ისტორიულ-წერილობით წყაროებზე დაყრდნობით მოცემულია ზოგიერთი ტოპონიმის ლოკალიზაცია-ეტიმოლოგიის ცდები: კაკი, მაქათალა, საკანი, წერეთელთ თახთ, სიღნაღი, ფერიჯან ჩოლი – „ჯვრის მინდორი“, ესკი-ბაზარი, გიში, შაკიხი, ჭალეთი, ვართაშენი//ვარდაშენი და სხვ.

დიმიტრის დაწყებული საქმე განაგრძო და თავისი სიგყვა თქვა მეცნიერებაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა მოსე ჯანაშვილმა. დიდია მისი ღვაწლი ქართული მეცნიერების განვითარებაში. მან მთელი ცხოვრება ქართველი ერის სამსახურს შეაღია, სამართლიანად შენიშნა და პროფესორი კორნელი კეკელიძე მოსე ჯანაშვილზე, რომ იგი „თითქმის 60 წლის განმავლობაში სანთელივით იწვოდა მეცნიერების შანდალზე“.

მ. ჯანაშვილის მოღვაწეობის სფერო მრავალფეროვანი იყო. ამიგომაცაა, რომ მის მდიდარ მემკვიდრეობაში გაშუქებულია ქართველი ერის ისტორია, ენა, მწერლობა, არქეოლოგია, ეთნოგრაფია... და მათ შორის საინგილოს შესწავლას მაინც განსაკუთრებული ადგილი უკავია. ეს, ალბათ, ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც მოსესათვის საინგილო ერთიანი საქართველოს განუყოფელი ნაწილთაგანი იყო და ამიგომაც ცდილობდა იგი, საინგილოს ცხოვრების არც ერთი სფერო არ დარჩენოდა გაუშუქებელი. მის კალამს ეკუთვნის მრავალი სიგყვის ეტიმოლოგიური განმარტება. საინგერესოა გავისხენოთ წერილი „მცირე შენიშვნა“ (გამ. „ივერია“ 1833 წ.), სადაც ზაფხულისა და ზამთრის მეგად